ჭეშმარიტად, ალლაჰი კმაყოფილია თქვენთვის სამი რამით და სძულს სამი რამ

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოგვცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ჭეშმარიტად, ალლაჰი კმაყოფილია თქვენთვის სამი რამით და სძულს სამი რამ: კმაყოფილია იმით, რომ მხოლოდ მას ეთაყვანებით და არ უდგენთ მას თანაზიარებს, რომ ეჭიდებით ალლაჰის თოკს ერთობლივად და არ იშლებით. და სძულს: ჭორაობა და ამაო ლაპარაკი, ზედმეტი კითხვა და ქონების ფლანგვა».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ ალლაჰს თავისი მონებისგან სამი თვისება უყვარს, და მათგან სამი თვისება სძულს, რაც მას უყვარს არის: მხოლოდ მას რომ ეთაყვანონ ერთადერთს და არავინ დაუდგინონ მას მოზიარედ, რომ ჩაეჭიდონ ალლაჰთან დადებულ პირობას, ყურანს და მისი შუამავლის სუნნას ყველამ ერთად, და არ დაშორდნენ მუსლიმთა ერთობას. მას სძულს: ფუჭი სიტყვები და ცნობისმოყვარეობა, რაშიც არ არის მათთვის სარგებელი, კითხვების დასმა იმასთან დაკავშირებით, რაც ჯერ არ მომხდარა, ან ადამიანებისგან ქონების თხოვნა საჭიროების გარეშე; ქონების ფლანგვა, მისი გამოყენება შარიათის მიერ დადგენილი წესების საწინააღმდეგოდ და მისი გაფუჭება.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/66236